# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/38

ქ. თბილისი 9 მარტი 2018

**სტუ-ის სტუდენტთა გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით კონკურსის ჩატარების წესის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსის, პროფ. ოთარ ზუმბურიძის მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №3 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს სტუ-ის სტუდენტთა გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით კონკურსის ჩატარების წესის პროექტი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით კონკურსის ჩატარების წესი

## 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილობის განხორციელების პროცედურულ საკითხებს, შესაბამის ეტაპებსა და ვადებს, ადგენს მობილობის პროცესის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ევროკომისიის მიერ შემუშავებული ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის რეგულაციების (Erasmus+ მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების განხორციელების გზამკვლევი პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებისათვის), ასევე, კოორდინატორი/მიმღები უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პროცედურების გათვალისწინების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი შესასრულებლად სავალდებულოა მობილობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მონაწილე ყველა პირისათვის.
3. წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურები გამჭვირვალეა და ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

## 2. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტთა შერჩევა მიმღებ პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ) (მათ შორის Erasmus+ პროგრამის ქვეყნის კოორდინატორი უსდ) საერთაშორისო მობილობით სასწავლებლად, შესაბამისი ინტერინსტიტუციონალური (მაგ. Erasmus+ პროგრამის ფარგლებში) ან/და ბილატერალური ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
2. Erasmus+ პროგრამის ფარგლებში კოორდინატორი უნივერსიტეტების სია შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებებით მოცემულია ვებგვერდზე (www.gtu.ge/erasmus+).

## 3. კონკურსის გამოცხადება

1. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, არსებული ხელშეკრულებების შესაბამისად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

კონკურსი ცხადდება ორ ეტაპად, შესაბამისად, გაზაფხულის ან შემოდგომის სემესტრში დაგეგმილი საერთაშორისო მობილობებისთვის.

2. გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილი საერთაშორისო მობილობებისთვის შერჩევა განხორციელდება ნოემბერში, ხოლო შემოდგომის სემესტრში დაგეგმილი საერთაშორისო მობილობებისთვის – აპრილში.

   *2.1. კონკურსის ჩატარების ვადები შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული პროექტის კოორდინატორი უსდ-ს (Erasmus+ პროგრამის ქვეყნის უსდ) მოთხოვნების შესაბამისად.*

3. საინფორმაციო განცხადება კონკურსის შესახებ განთავსდება ვებგვერდზე (www.gtu.ge ; www.gtu.ge/erasmus+).
4. განცხადებაში მიეთითება მასპინძელი უნივერსიტეტის დასახელება, ინფორმაცია სტიპენდიების არსებობის შესახებ, მიმართულების/პროგრამების ჩამონათვალი.
5. კონკურსის მიმდინარეობისას აპლიკანტი უნდა ირიცხებოდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, როგორც შესაბამისი საფეხურის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.
6. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სტუდენტებს, გარდა:

- სწავლების პირველი და დამამთავრებელი წლის ბაკალავრიატის სტუდენტებისა. გამონაკლისის სახით, დასაშვებია დამამთავრებელი წლის პირველი სემესტრის ბაკალავრიატის სტუდენტების მონაწილეობა;
- სწავლების დამამთავრებელი წლის მაგისტრანტებისა. გამონაკლისის სახით, დასაშვებია დამამთავრებელი წლის პირველი სემესტრის მაგისტრანტების მონაწილეობა;
- სწავლების დამამთავრებელი წლის დოქტორანტებისა. გამონაკლისის სახით, დასაშვებია დამამთავრებელი წლის პირველი სემესტრის დოქტორანტების მონაწილეობა;
- Erasmus+ პროგრამით მობილობისას, ნებისმიერი საფეხურის სტუდენტებისა, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ Erasmus Mundus და Erasmus+ გრანტი ანალოგიურ საფეხურზე და მათი მობილობის პერიოდი დაგეგმილი მობილობის ჩათვლით აღემატება 12 თვეს.

## 4. კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი, აგრეთვე, შესაბამისი ფორმები განთავსებულია ვებგვერდზე (www.gtu.ge/erasmus+):

- პირადობის მოწმობის /პასპორტის ასლი;
- შევსებული სააპლიკაციო ფორმა (ინგლისურ ენაზე);
- EUROPASS CV (ინგლისურ ენაზე);
- სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე);

- შესაბამისი უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა (თუ კონკურსანტს მიღებული აქვს წინა განათლება უცხოურენოვან პროგრამაზე, სერტიფიკატი/ცნობა-აღარ მოეთხოვება);
- ნიშნების ფურცელი (ინგლისურ ენაზე);
- შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით შევსებული და დეკანის ხელმოწერით დადასტურებული ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა (სასწავლო ხელშეკრულება) (ინგლისურ ენაზე);
- სარეკომენდაციო წერილი (ინგლისურ ენაზე);
- სოციალურად დაუცველობის და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში) (ინგლისურ ენაზე);
- ბოლოს მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი და დანართი (არსებობის შემთხვევაში) ან აკადემიური ცნობა (ინგლისურ ენაზე);
- კვლევის გეგმა (ინგლისურ ენაზე) (მხოლოდ დოქტორანტებისთვის);
- მხარდაჭერის წერილი მიმღები უნივერსიტეტის პროფესორისაგან / ადმინისტრაციული ერთეულისგან (ინგლისურ ენაზე) (ოფიციალური დოკუმენტი სავალდებულო არ არის. საკმარისია ელ.ფოსტით მიღებული თანხმობა) (მხოლოდ დოქტორანტებისთვის).

2. კონკურსანტები სათანადოდ შევსებულ სააპლიკაციო ფორმასა და ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას (სასწავლო ხელშეკრულება) წარუდგენენ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, ხოლო Erasmus+ პროგრამის შემთხვევაში, თავდაპირველად შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და შემდგომ სტუ-ს ინსტიტუციონალურ კოორდინატორს დასადასტურებლად.
3. Erasmus+ პროგრამის შემთხვევაში საკონკურსო განაცხადი, რომელსაც თან არ ახლავს სტუ-ს ინსტიტუციონალური კოორდინატორის მიერ დადასტურებული ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა, განსახილველად არ მიიღება.

## 5. საკონკურსო დოკუმენტების მიღება და კონსულტაციები:

1. გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილი საერთაშორისო მობილობებისთვის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურში საკონკურსო დოკუმენტების წარდგენის ბოლო ვადა - 15 ნოემბერი.
2. შემოდგომის სემესტრში დაგეგმილი საერთაშორისო მობილობებისთვის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურში საკონკურსო დოკუმენტების წარდგენის ბოლო ვადა - 15 აპრილი.

*შენიშვნა:*

*დოკუმენტების წარდგენის ბოლო ვადები შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული პროექტის კოორდინატორი უსდ-ს (Erasmus+ პროგრამის ქვეყნის უსდ) მოთხოვნების შესაბამისად.*

3. დამატებითი დეტალური ინფორმაცია გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით – ინფორმაცია კონკურსის პირობების, შემოთავაზებული მობილობის ტიპებისა და ვადების შესახებ – პერიოდულად, კონკრეტული პროექტის კოორდინატორი უსდ-ს (Erasmus+ პროგრამის ქვეყნის უსდ) მხრიდან მიღებისთანავე გამოქვეყნდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური უზრუნველყოფს დაინტერესებული კონკურსანტებისთვის სააპლიკაციო პროცედურებთან დაკავშირებულ კონსულტაციებს ვებგვერდზე (www.gtu.ge/erasmus+) გამოქვეყნებული გრაფიკის შესაბამისად:
   - ოქტომბერი-ნოემბერი (გაზაფხულის სემესტრში მობილობისთვის);
   - მარტი-აპრილი (შემოდგომის სემესტრში მობილობისთვის).

## 6. ტესტირება

კონკურსანტებისთვის, რომლებმაც განაცხადში არ წარმოადგინეს უცხოური ენის ფლობის სათანადო სერტიფიკატი ან არ სწავლობენ შესაბამის უცხოურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე, შიდა საუნივერსიტეტო ტესტირება შესაბამის უცხოურ ენაში ჩატარდება საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრში, შესაბამისად, 20 ნოემბრამდე (გაზაფხულის სემესტრში მობილობისთვის) ან 20 აპრილამდე (შემოდგომის სემესტრში მობილობისთვის).

***შენიშვნა:***

*შიდა საუნივერსიტეტო ტესტირების ვადები შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული პროექტის კოორდინატორი უსდ-ს (Erasmus+ პროგრამის ქვეყნის უსდ) მოთხოვნების შესაბამისად.*

## 7. კონკურსის ჩატარება

1. საერთაშორისო ურთიერთობების ჯგუფის მიერ სააპლიკაციო განაცხადების სორტირება განხორციელდება 25 ნოემბრამდე (გაზაფხულის სემესტრში მობილობისთვის) ან 25 აპრილამდე (შემოდგომის სემესტრში მობილობისთვის).
2. საერთაშორისო ურთიერთობების ჯგუფის მიერ სორტირებული სააპლიკაციო განაცხადების განხილვა და, ერთნაირი მონაცემების არსებობის შემთხვევაში, კომისიაზე წარდგენა განსახილველად განხორციელდება - 30 ნოემბრამდე (გაზაფხულის სემესტრში მობილობისთვის) ან 30 აპრილამდე (შემოდგომის სემესტრში მობილობისთვის).

2.1. ერთნაირი მონაცემების არსებობის შემთხვევაში, სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვასა და შეფასებას განახორციელებს საკონკურსო კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

- საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსი/სტუ-ს ინსტიტუციონალური კოორდინატორი (კომისიის თავმჯდომარე);
- შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
- შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი / სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი.

3. ევროკომისიის მიერ განსაზღრული რეკომენდაციების გათვალისწინებით (Erasmus+ მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების განხორციელების გზამკვლევი პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებისათვის), კონკურსანტების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- **GPA ან კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო (0 – 2 ქულა)**
  - 3.0-4.0 – 2
  - 2.0-2.9 – 1
  - 1.0-1.9 – 0

- **მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისი უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა (1-3 ქულა)**
  - TOEFL, IELTS სერტიფიკატი – 3
  - ინგლისურ/გერმანულ ენაში შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 81-100 ქულამდე – 2,5
  - ინგლისურ/გერმანულ ენაში შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 61-80 ქულამდე – 2
  - ინგლისურ/გერმანულ ენაში შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 51-60 ქულამდე – 1

- **სამოტივაციო წერილი (1-3 ქულა)**
  - მოტივაცია დასაბუთებულია და გამართული სტრუქტურულად, მიზნების, მოსალოდნელი შედეგებისა და სარგებლის თვალსაჩინო წარმოდგენით – 3
  - მოტივაციაში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული და გააზრებული, თუ როგორ გამოიყენებს დარგში შეძენილ ცოდნას – 2
  - წარმოდგენილ მოტივაციაში ბუნდოვანია მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და სარგებელი – 1

- **EUROPASS CV (1-2 ქულა)**

- რეზიუმეში სათანადოდ არის აღწერილი აპლიკანტის უნარები, სამუშაო გამოცდილება, განათლება და სხვა საქმიანი ინფორმაცია და შეესაბამება EUROPASS CV ფორმატს – 2
- რეზიუმეში ზოგადად არის აღწერილი აპლიკანტის უნარები, სამუშაო გამოცდილება, განათლება და სხვა საქმიანი ინფორმაცია – 1

- **სარეკომენდაციო წერილი (1-2 ქულა)**
  - თითო სარეკომენდაციო წერილზე – 1-1 ქულა

- **კვლევის გეგმა (ინგლისურ ენაზე) (მხოლოდ დოქტორანტებისთვის) (1-2 ქულა)**
  - კვლევის მეთოდოლოგიის საკვლევ საკითხთან შესაბამისობა – 1
  - კვლევის აქტუალურობა და მნიშვნელობა - 1

- **დამატებითი ინფორმაცია (1-2 ქულა)**
  - წარმოდგენილია ეკონომიკური, სოციალური და/ან ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი – 1
  - წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაცია სტუდენტური აქტივობების შესახებ – 1

**შენიშვნა:**

*ერთნაირი მონაცემების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ:*

- *სოციალურად დაუცველობისა და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე კონკურსანტებს;*
- *კონკურსანტებს, რომლებსაც მანამდე არ მიუღიათ გრანტები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს მუნდუსის, ერაზმუს+ მობილობის პროგრამების ფარგლებში;*

4. მიმღებ პარტნიორ უსდ-ს შეუძლია განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები სასწავლო კურსთან დაკავშირებით, ინტერინსტიტუციონალური ხელშეკრულების ფარგლებში (Erasmus+ პროგრამის შემთხვევაში).

## 8. კონკურსის შედეგები

1. კონკურსის შედეგები წარმოადგენს შერჩეული კონკურსანტების რანჟირებულ სიას მიღებული ქულების მიხედვით.

2. ინდივიდუალური გრანტის მოსაპოვებლად, პარტნიორი უსდ-ისთვის ნომინაციაში წარმოდგენილნი იქნებიან შესაბამისად რანჟირებული კონკურსანტები (სიის მიხედვით).
3. კონკურსის შედეგები კონკურსანტებს ინდივიდუალურად ეცნობებათ საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.

## 9. კონკურსის შედეგების გასაჩივრების პროცედურა

1. კონკურსანტს უფლება აქვს, გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 3 დღის განმავლობაში.
2. საჩივრის განხილვის მიზნით, რექტორის ბრძანებით, იქმნება შესაბამისი კომისია.
3. გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან სამი დღის განმავლობაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსის საბოლოო შედეგებს, ამავე ვადაში უგზავნის პარტნიორ მიმღებ უსდ-ებს ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამებს (სასწავლო ხელშეკრულებები).